

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

მათემატიკა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



საგნობრივი ცოდნა

(1) 1. თითოეული ანანასი ერთი და იმავე ფასად იყიდება, ასევე, თითოეული ავოკადოც ერთი და იმავე ფასად იყიდება.
3 ანანასი უფრო მეტი ღირს, ვიდრე – 5 ავოკადო. რომელი ეღირება უფრო მეტი, 6 ანანასი, თუ 9 ავოკადო?

ა) 6 ანანასი;

ბ) 9 ავოკადო;

გ) ტოლი ღირებულება ექნებათ;

დ) მონაცემები არაა საკმარისი ამის დასადგენად.

(1) 2. მოტოციკლისტი 2,5 საათის განმავლობაში 40 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა, ხოლო მომდევნო 1,5 საათის განმავლობაში – 60 კმ/სთ სიჩქარით. უკან დაბრუნებისას მუდმივი სიჩქარით მოძრავ მოტოციკლისტს იმავე მანძილის გასავლელად 5 საათი დასჭირდა. რის ტოლი იყო მოტოციკლისტის სიჩქარე უკან დაბრუნებისას?

ა) 32 კმ/სთ-ის;

ბ) 34 კმ/სთ-ის;

გ) 36 კმ/სთ-ის;

დ) 38 კმ/სთ-ის.

(1) **3.** ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის სიგრძე 6-ჯერ მეტია მართკუთხედის სიგანეზე, ხოლო პერიმეტრი 3-ჯერ მეტია მართკუთხედის პერიმეტრზე. რამდენჯერ მეტია მართკუთხედის სიგრძე მართკუთხედის სიგანეზე?

ა) 2-ჯერ;

ბ) 3-ჯერ;


გ) 4-ჯერ;

დ) 5-ჯერ.


(1) **4.** დათომ რამდენიმე ფანქარი და რამდენიმე კალამი შეიძინა. მას სულ 3 ლარი და 10 თეთრი ჰქონდა. დათომ თითო ფანქარში 40 თეთრი გადაიხადა, ხოლო თითო კალამში – 80 თეთრი. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს თანხა, რომელიც დარჩა დათოს?

- ა) 60 თეთრის;
- ბ) 70 თეთრის;
- გ) 80 თეთრის;
- დ) 90 თეთრის.


(1) 5. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებიდან რომელი გამოდგება ოთხკუთხედების, მართკუთხედებისა და რომბების სიმრავლეთა შორის ურთიერთმიმართების წარმოსადგენად?




ა)



ბ)



გ)



დ)

(1) **6.** ტრაპეცია დიაგონალით დაყოფილია ორ სამკუთხედად, რომელთა ფართობებია 18 სმ^2 და 24 სმ^2 . რის ტოლია მცირე ფუძის სიგრძის შეფარდება დიდი ფუძის სიგრძესთან?

ა) $\frac{3}{7}$ -ის;

ბ) $\frac{3}{4}$ -ის;

გ) $\frac{2}{3}$ -ის;

დ) $\frac{4}{7}$ -ის.

(1) 7. დედამ თავის ორ გოგონას – ელენეს და სალომეს – და ორ ვაჟს – გიორგის და დავითს – კანფეტებით სავსე კოლოფი უყიდა. ისინი შეეცადნენ გამოეცნოთ, რამდენი ცალი კანფეტი იყო კოლოფში. მათ ასეთი ვარაუდები გამოთქვეს:

ელენე: კოლოფში ზუსტად 34 კანფეტია.

სალომე: კოლოფში კანფეტების რაოდენობა ლუწია.

გიორგი: კოლოფში 30-ზე მეტი და 35-ზე ნაკლები რაოდენობის კანფეტია.

დავითი: კოლოფში კანფეტების რაოდენობაა ზუსტად 33.

ამათგან სწორი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი გოგონას და ერთი ვაჟის ვარაუდი.

რამდენი კანფეტი ყოფილა კოლოფში?

ა) 30

ბ) 31

გ) 32

დ) 33

(1) **8.** რამდენია ისეთი მთელი რიცხვი a , რომელიც აკმაყოფილებს $\frac{3}{8} < \frac{a}{12} < \frac{13}{18}$ პირობას?

ა) 4

ბ) 5

გ) 6

დ) 7

(1) **9.** თამარმა რამდენიმე ბანანი და რამდენიმე მანგო იყიდა, რომელთა საერთო წონა 5 კგ იყო. თითოეული ბანანი 200 გრამს იწონიდა, ხოლო თითოეული მანგო – 300 გრამს. ნაყიდი ბანანების საერთო წონა a კილოგრამი იყო. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულება გვიჩვენებს, სულ რამდენი ცალი ბანანი და მანგო იყიდა თამარმა?

ა) $200a + 300(5 - a)$

ბ) $a : 200 + (5 - a) : 300$

გ) $0,2a + 0,3(5 - a)$

დ) $a : 0,2 + (5 - a) : 0,3$

(1) **10.** ოქრომჭედელმა 5 ბეჭედი დაამზადა, რომელთა საშუალო წონა 6 გრამია. ამ ბეჭდებიდან ოთხი ისეთია, რომ თითოეულის წონა 6 გრამზე მეტია და 7 გრამზე ნაკლები. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მეხუთე ბეჭდის წონა?


- ა) 2 გრამის;
- ბ) 4 გრამის;
- გ) 6 გრამის;
- დ) 8 გრამის.

(1) 11. 46 ცალი წითელი და 69 ცალი ყვითელი ვარდისგან შეკრეს თაიგულები. თითოეულ თაიგულში წითელი ვარდების რაოდენობა ერთმანეთის ტოლი იყო, ასევე ტოლი იყო თითოეულ თაიგულში ყვითელი ვარდების რაოდენობაც. სულ რამდენი თაიგული შეუკრავთ?

- ა) 21
- ბ) 22
- გ) 23
- დ) 24

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე მოცემულია, თუ რამდენი კილოგრამი მსხალი და ატამი მოიყვანეს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე 2007-2010 წლებში.



მომდევნო ორ შეკითხვას უპასუხეთ ამ დიაგრამის მიხედვით.

შეკითხვებზე გადასვლა: [12](#) [13](#)

(1) **12.** რომელ წელს იყო ერთ სულ მოსახლეზე მოყვანილი მსხლისა და ატმის საერთო წონა ყველაზე მეტი?

ა) 2007

ბ) 2008

გ) 2009

დ) 2010

[დიაგრამის ნახვა](#)

(1) **13.** ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 2010 წელს, 2008 წელთან შედარებით, 20%-ით გაიზარდა. რამდენჯერ მეტი იყო ქვეყანაში 2008 წელს მოყვანილი მსხლის წონა 2010 წელს მოყვანილი მსხლის წონაზე?

ა) $\frac{3}{2}$ -ჯერ;

ბ) $\frac{4}{3}$ -ჯერ;

გ) $\frac{7}{5}$ -ჯერ;

დ) $\frac{9}{5}$ -ჯერ.

[დიაგრამის ნახვა](#)

(1) 14. ნებისმიერი m და n რიცხვებისთვის $m \otimes n$ გამოითვლება ტოლობით: $m \otimes n = m^3 - n^2$.

რის ტოლია $(3 \otimes 5) \otimes 2$?

ა) 1-ის;

ბ) 2-ის;

გ) 3-ის;

დ) 4-ის.

(1) **15.** საკოორდინატო სიბრტყეზე მდებარე $M(-3; 2)$ და $N(1; 4)$ წერტილები სიმეტრიულია F წერტილის მიმართ. რის ტოლია იმ წერტილის კოორდინატები, რომელიც $K(0; 2)$ წერტილის სიმეტრიულია იმავე F წერტილის მიმართ?

ა) $(2; -4)$

ბ) $(-2; 0)$

გ) $(-2; 4)$

დ) $(2; 0)$

(1) **16.** რიცხვით ღერძზე x და y რიცხვების შესაბამის წერტილებს შორის მანძილი 8 ერთეულის ტოლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ტოლობაა შეუძლებელი?

ა) $x - y = -8$

ბ) $x + y = -4$

გ) $x - y = 4$

დ) $x + y = 16$

(1) 17. სამგზავრო მატარებელი 3 ვაგონისგან შედგება. მესამე ვაგონში მყოფი ყველა მგზავრის პირველ ვაგონში გადასვლის შემთხვევაში პირველ ვაგონში მგზავრების რაოდენობა 3-ჯერ გაიზრდება, ხოლო მეორე ვაგონში მყოფი ყველა მგზავრის პირველ ვაგონში გადასვლის შემთხვევაში პირველ ვაგონში მგზავრების რაოდენობა 4-ჯერ გაიზრდება. რამდენჯერ გაიზრდება პირველ ვაგონში მგზავრების რაოდენობა, მასში მეორე და მესამე ვაგონებში მყოფი ყველა მგზავრის გადასვლის შემთხვევაში?

- ა) 5-ჯერ;
- ბ) 6-ჯერ;
- გ) 7-ჯერ;
- დ) 12-ჯერ.

(1) **18.** ხის 12 ერთნაირი ძელაკისგან ააწყვეს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის სხეული, რომლის ზომებია $6 \text{ სმ} \times 4 \text{ სმ} \times 5 \text{ სმ}$. რამდენი ასეთი ძელაკია საჭირო მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ისეთი სხეულის ასაწყობად, რომლის ზომებია $10 \text{ სმ} \times 12 \text{ სმ} \times 8 \text{ სმ}$?

- ა) 24
- ბ) 48
- გ) 72
- დ) 96

(1) **19.** ცნობილია, რომ:

I. ელენე დაათვალიერებს სამხატვრო გალერეას ან ხელოვნების მუზეუმს.

II. თუ ელენე დაათვალიერებს ხელოვნების მუზეუმს, მაშინ ის სამხატვრო გალერეასაც დაათვალიერებს.

რომელი დასკვნა გამომდინარეობს ამ პირობებიდან აუცილებლად?

ა) ელენე დაათვალიერებს სამხატვრო გალერეას;

ბ) ელენე დაათვალიერებს ხელოვნების მუზეუმს;

გ) ელენე არ დაათვალიერებს სამხატვრო გალერეას;

დ) ელენე არ დაათვალიერებს ხელოვნების მუზეუმს.

მონაცემთა საკმარისობა

(1) **20.** ჩავთვალოთ, ყოველი მეოთხე წელი ნაკიანია. ყოველ ნაკიან წელს თებერვლის თვე 28 დღის ნაცვლად 29 დღისაგან შედგება. რომელიღაც წლის 15 იანვარი პარასკევი იყო.

მოცემულია ორი პირობა:

I. ამ წლის წინა წელი არ იყო ნაკიანი.

II. ამ წლის მომდევნო წელი იყო ნაკიანი.

იმის გასარკვევად, თუ მოცემული წლის რა დღე იყო 7 მარტი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **21.** მოცემულია სამი მონაკვეთი, რომელთაგან უდიდესის სიგრძე 10 სმ-ის ტოლია.

მოცემულია ორი პირობა:

I. ამ სამი მონაკვეთიდან უმცირესის სიგრძე 4 სმ-ის ტოლია.

II. ამ სამი მონაკვეთიდან უმცირესის სიგრძე 6 სმ-ის ტოლია.

იმის გასარკვევად, შეიძლება თუ არა ამ მონაკვეთებისაგან სამკუთხედის შედგენა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **22.** m და n ნატურალური რიცხვებია.

მოცემულია ორი პირობა:

I. $m(n + 1)$ ლუწი რიცხვია.

II. $m(n + 3)$ ლუწი რიცხვია.

იმის გასარკვევად, ლუწია თუ კენტი m რიცხვი:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **23.** მართკუთხა პარალელეპიპედის ფუძე კვადრატია და გვერდითი წიბოს სიგრძე 10 სმ-ია.

მოცემულია ორი პირობა:

I. მართკუთხა პარალელეპიპედის ფუძის პერიმეტრი 20 სმ-ის ტოლია.

II. მართკუთხა პარალელეპიპედის გვერდითი წახნაგის პერიმეტრი 30 სმ-ის ტოლია.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რის ტოლია მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(1) **24.** ბაღში მხოლოდ ვაშლის, მსხლის და ატმის ხეებია დარგული.

მოცემულია ორი პირობა:

I. ვაშლის ხეების რაოდენობა 4-ით მეტია მსხლის ხეების რაოდენობაზე.

II. ვაშლის ხეების რაოდენობა 4-ით ნაკლებია ატმის ხეების რაოდენობაზე.

იმის გასარკვევად, თუ ბაღში ხეების საერთო რაოდენობის რა ნაწილს შეადგენს ვაშლის ხეების რაოდენობა:

ა) I პირობა საკმარისია, II კი – არა;

ბ) II პირობა საკმარისია, I კი – არა;

გ) I და II პირობა ერთად საკმარისია, ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი;

დ) საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე, II პირობა;

ე) მოცემული პირობები ერთად აღებულიც კი არ არის საკმარისი.

(3) **25.** უჯრაში 24 ცალი კალამი და 16 ცალი ფანქარია. მინიმუმ რამდენი ცალი ფანქარი უნდა ჩავდოთ კიდევ უჯრაში, რათა მასში ფანქრების პროცენტული წილი 60%-ზე მეტი გახდეს?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **26.** პარალელოგრამის ორი გვერდის სიგრძეთა ჯამი 8 სმ-ის ტოლია, ხოლო სამი გვერდის სიგრძეთა ჯამი – 11 სმ-ის. იპოვეთ პარალელოგრამის პერიმეტრის ყველა შესაძლო მნიშვნელობა.

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **27.** საცხოვრებელი კორპუსის ბინების დასანომრად შეიძინეს კარზე მისამაგრებელი ციფრები და მათი გამოყენებით ბინები დანომრეს, შესაბამისად, ნატურალური რიცხვებით 1, 2, 3, სულ საჭირო გახდა 207 ციფრი. სულ რამდენი ბინა დაუნომრავთ?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **28.** მოცემულია კალისა და ტყვიის ორი შენადნობი. კალისა და ტყვიის წონები პირველ შენადნობში ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 3 : 5, მეორე შენადნობში – როგორც 1 : 2, ხოლო მათი შედნობით მიღებულ ახალ შენადნობში – როგორც 4 : 7. პირველი შენადნობის წონაა 16 კგ. რის ტოლია მეორე შენადნობის წონა?

პასუხი დაასაბუთეთ.

(3) **29.** მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

1) გამოთვალეთ: I. $(57057 + 380) : 19$


II. $(7707 - 280) : 7$

III. $(520 \cdot 65) : 13$

2) სამგზავრო მატარებელი ერთი ქალაქიდან 17:15 საათზე გავიდა და მეორე ქალაქში 03:25 საათზე ჩავიდა. ჩქარ მატარებელს კი იმავე გზის გავლისთვის 2 საათითა და 50 წუთით ნაკლები დრო დასჭირდა. რა დრო დასჭირდებოდა ჩქარ მატარებელს გზის გასავლელად?

3) ირაკლი 15 წლისაა, ანა – 1 წლის, სანდრო – 3 წლის, მარიამი კი – 4 წლის. რამდენი წლის შემდეგ იქნება ირაკლის ასაკი ანას, სანდროსა და მარიამის ასაკთა ჯამზე 5 წლით ნაკლები?

4) კვადრატი დაყოფილია ორ ტოლ მართკუთხედად, რომელთაგან თითოეულის პერიმეტრია 12 სმ. რის ტოლია კვადრატის პერიმეტრი?



მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $(57057 + 380) : 19 = 57057 : 19 + 380 : 19 = 303 + 20 = 323$

II. $(7707 - 280) : 7 = 7707 : 7 - 280 : 7 = 1101 - 40 = 1061$

III. $(520 \cdot 65) : 13 = (520 : 13) \cdot (65 : 13) = 40 \cdot 5 = 200$

2) $24 \text{ სთ} - 17 \text{ სთ } 15 \text{ წთ} = 6 \text{ სთ } 45 \text{ წთ}$ $3 \text{ სთ } 25 \text{ წთ} - 2 \text{ სთ } 50 \text{ წთ} = 35 \text{ წთ}$

ჩქარ მატარებელს დასჭირდებოდა $6 \text{ სთ } 45 \text{ წთ} - 35 \text{ წთ} = 6 \text{ სთ } 10 \text{ წთ}$.

3) $1 + 3 + 4 = 8$, $15 - 8 + 5 = 12$, $12 : 3 = 4$. პასუხი: 4 წლის შემდეგ.

4) $12 + 12 = 24$, $24 \cdot \frac{6}{4} = 36$. პასუხი: 36 სმ-ის.

- მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და ჩაწერეთ შესწორებული სახით.

აკადემიური უნარები

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I თანამედროვე რეალობაში, რომელშიც მშობლები უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ თავიანთ შვილებთან, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მორალური განათლების ეფექტური გზების ძიება. არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვების შეხედულებები სწორსა და არასწორზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე არ წარმოადგენს უფროსთა სწავლების პირდაპირ შედეგს. ერთ-ერთ გზად, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს გააცნობიერონ მორალური ქცევის უპირატესობები, ზღაპრებს განიხილავენ.

II ზღაპრებს მეტაფორების საშუალებით მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციის შესრულება შეუძლია ბავშვის განვითარებაში. ზღაპარში არსებული ვიზუალური ხატები შეფარვით ასახავს რეალობას, წარმოადგენს მეტაფორებს, რომლებიც სწორი არჩევანის გაკეთებას უწყობს ხელს. ასეთი მეტაფორები ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდის მნიშვნელოვან მორალურ და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს ხატოვანი და ემოციურად მიმზიდველი ფორმით. ზღაპრებში არსებულ მეტაფორებს შეუძლია დაეხმაროს ბავშვს ისეთი აბსტრაქტული ცნებებისა და პრინციპების წვდომაში, რომლებიც სხვაგვარად მათთვის გაუგებარია, რადგან ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული აბსტრაქტული აზროვნების უნარი. მეტაფორები მორალურად გამართლებულ და გაუმართლებელ ქცევებს ხატებად აქცევს. დადებითი მეტაფორა მიმზიდველს და საინტერესოს ხდის მორალურ საქციელს, უარყოფითი მეტაფორა კი მკითხველს ამორალური ქცევის შედეგებს აჩვენებს და მსგავსი ქცევებისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს. მაგალითად, „ბნელი ტყე“ დაბნეულობის, შიშის, სირთულეების მეტაფორაა, „დრაკონი“ – საკუთარ თავში დასამარცხებელი სისუსტეების, „ოქროს ვაშლი“ – ძნელად მისაღწევი ბედნიერების, რომლისთვისაც გმირი დაბრკოლებებით სავსე დიდ გზას გადის.

შეკითხვებზე გადასვლა: [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#)

III ის, რაც ბავშვს მორალურობას შთაუწერგავს, არის არა სიმართლის/კეთილის გამარჯვება ზღაპრის დასასრულს, არამედ მიმზიდველი გმირი, რომელთანაც ბავშვი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს. ამ იდენტიფიცირების გამო ბავშვი თავის წარმოდგენაში გმირთან ერთად გაივლის ყველა განსაცდელს და მასთან ერთად ზეიმობს სიკეთის გამარჯვებას. ზღაპრების ბავშვებისეული გაგება განსხვავდება ასაკის მიხედვით, ზღაპარი „პირდაპირ“ არასოდესაა გაგებული. თითოეული ბავშვი ზღაპრის თემას იაზრებს საკუთარი ასაკის, ცოდნის, გამოცდილების, ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური და მორალური განვითარების დონის, იმ მისწრაფებებისა და გამოწვევების შესაბამისად, რომლებიც კონკრეტულ მომენტში კონკრეტული ბავშვის წინაშე დგას.

IV ერთ-ერთ კვლევაში შეისწავლეს 3-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ მათთვის უცნობი მეტაფორების გაგების უნარი. აღმოჩნდა, რომ ეს უნარი ასაკის მატებასთან ერთად უმჯობესდებოდა, თუმცა ყველა ასაკის ბავშვს მეტაფორების გასაგებად სჭირდებოდა ვიზუალური ხატი/ილუსტრაცია.

V ზღაპარში ბავშვი ხედავს მოქმედებას კონკრეტულ სცენარში, რაც ეხმარება მას მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრებასა და რეალობაში გადმოტანაში. ასევე, ზღაპარი იწვევს ემოციას, რაც ზრდის ინფორმაციის დამახსოვრების ალბათობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

შეკითხვებზე გადასვლა: [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#)

(1) **30.** რა არის პირველი აბზაცის მიხედვით გამოტანილი მთავარი დასკვნა?

- ა) მშობლები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ შვილებთან;
- ბ) მორალური ქცევის უპირატესობის გააზრება უფროსთა სწავლების შედეგია;
- გ) მორალური განათლების ერთ-ერთ არაპირდაპირ გზად ზღაპრებს განიხილვენ;
- დ) ბავშვების მორალური განათლების დონე სულ უფრო და უფრო დაბალი ხდება;

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **31.** რა გზით ახერხებს ზღაპარში წარმოდგენილი მეტაფორა გადასცეს ბავშვებს რეალობის შესახებ ღირებული გაკვეთილი?

- ა) მეტაფორები ზღაპარში დაუჯერებელ მოვლენებს რეალისტურ მნიშვნელობას სძენს და საინტერესო ხდება ბავშვისთვის;
- ბ) მეტაფორის საშუალებით აბსტრაქტული მორალური პრინციპები თვალსაჩინო ხატებად და ემოციურად მიმზიდველ ქმედებად არის წარმოდგენილი;
- გ) უარყოფითი მეტაფორა მორალურად გაუმართლებელ ქცევას მიმზიდველს ხდის ბავშვისთვის;
- დ) დადებითი მეტაფორების საშუალებით წარმოდგენილი მოვლენები გასართობ იერს იძენს და ადვილად გასაგებია ბავშვისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#)

(1) **32.** რატომ ახდენს ზღაპარი ბავშვზე უფრო ძლიერ გავლენას, ვიდრე მშობლის ან მასწავლებლის პირდაპირი მითითება?

- ა) ზღაპარში კეთილი ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, რაც ბავშვისთვის გასაგებ ენაზე არის მიწოდებული;
- ბ) ზღაპარი ბავშვის მიერ აღიქმება მისი ასაკის, გამოცდილების, კოგნიტური და მორალური განვითარების დონის შესაბამისად;
- გ) ბავშვობის ასაკში მეტაფორები უფრო მარტივი გასაგებია, ვიდრე პირდაპირ ნათქვამი მითითებები;
- დ) ბავშვი საკუთარ თავს ზღაპრის გმირთან აიგივებს, მასთან ერთად ხდება მოქმედი გმირი და ამ გზით უკეთ იაზრებს ამა თუ იმ ქცევის გამართლებულობას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **33.** ჩამოთვლილთაგან, რომელი მოსაზრების არგუმენტად გამოდგება მეოთხე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგი?

- ა) ბავშვების მორალური განვითარების ერთადერთი წყარო არის ზღაპრებში წარმოდგენილი მეტაფორები;
- ბ) ბავშვების სწავლების პროცესში აბსტრაქტული იდეების გადმოცემას რეკომენდებულია ახლდეს ხატოვანი მასალა;
- გ) ბავშვებს უკვე ადრეული ასაკიდან აქვთ უნარი გაიაზრონ აბსტრაქტული იდეები და მორალური დილემები;
- დ) ბავშვებს უჭირთ ზღაპრის მთავარი იდეის გაგება „პირდაპირ“, ამასთან მათ მათი ცოდნა და გამოცდილება ეხმარება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

(1) **34.** ჩამოთვლილთაგან რომელია ზემოქმედების მთავარი გზა, რომლის საშუალებითაც ზღაპრები ეხმარება ბავშვებს მორალური ქცევის გააზრებაში?

- ა) ემოციური ჩართულობა და ვიზუალური მეტაფორები;
- ბ) ზღაპრის ენის სიმარტივე - ცხადად გადმოცემული იდეები;
- გ) ზღაპრის ტრადიციული სტრუქტურა - ბედნიერი დასასრული;
- დ) ზღაპრის გმირთან ასაკობრივი სიახლოვე და კონკრეტული სცენარი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#)

(9) 35. ანალიტიკური წერა

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დავალებას. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ, მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ა) მასწავლებლის მიერ საშინაო დავალებების რეგულარულად მიცემა აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ საგნობრივი ცოდნა და განივითარონ პრაქტიკული უნარები.

ბ) საგნობრივი ცოდნის შეძენისა თუ პრაქტიკული უნარების განსავითარებლად ერთმნიშვნელოვნად ეფექტურ საშუალებას სკოლა და საგაკვეთილო პროცესი წარმოადგენს, რაც დღის წესრიგიდან ხსნის მოსწავლის საშინაო დავალებებით რეგულარულად დატვირთვის საკითხს.

თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.